კრიტიკული მდგომარეობასამყაროში

რა არის მშვიდობის მიღწევის საფუძველი?

მესიის ხალიფა ჰაზრათ მირზა მასრურ აჰმად
მეხუთეს მთავარი მიმართვა(აბა),

ფონი

2024 წლის 9 მარტს ბაიტულ-ფუტუჰის მეჩეთის ”თაჰირ დარბაზში”, მორდენში, 1200-ზე მეტიადამიანი შეიკრიბა, მათ შორის 550-ზე მეტი სახელმწიფო ელჩი, პარლამენტის წევრი და აკადემიკოსი30 ქვეყნიდან, რათა დასწრებოდნენ ეროვნული მშვიდობის მე-18 სიმპოზიუმს, რომელიც დიდ ბრიტანეთში აჰმადია მუსლიმთა საზოგადოების მიერ იყო ორგანიზებული. მშვიდობის სიმპოზიუმიშესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა საქმიანობისა და ბიოგრაფიის მქონე ადამიანებს შეიკრიბონ დაგანიხილონ მშვიდობის დამყარების გზები ომით, კონფლიქტებითა და განხეთქილებებით სავსესამყაროში. სიმპოზიუმის გამორჩეული ნაწილი იყო აჰმადია მუსლიმთა მსოფლიო ხელმძღვანელის,მისი უწმინდესობის, ჰაზრათ მირზა მასრურ აჰმადის (აბა) მთავარი მიმართვა, რომელიც ორიათწლეულია მოუწოდებს მსოფლიოს გამოასწოროს გზები, რომლებსაც ის გლობალური დაბირთვული ომის გზაზე მიაქანებს. უწმინდესის (აბა) მიმართვის ინგლისური ტექსტი წარმოდგენილიაქართულ ენაზე.

მესიის ხალიფა ჰაზრათ მირზა მასრურ აჰმად მეხუთეს მთავარი (აბა)

بِسۡمِ اللّٰہِ الرَّحۡمٰنِ الرَّحِیۡمِ

მესიის ხალიფა ჰაზრათ მირზა მასროორ აჰმად მეხუთეს მთავარი მიმართვა (დაე, ყოვლისშემძლე ალლაჰის ძლევამოსილი დახმარება იყოს მასთან), მსოფლიო აჰმადიას მუსლიმთა თემის ხელმძღვანელი, წარმოთქმული თაჰირის დარბაზში, ბაიტულ ფუტუჰის მეჩეთში, მორდენში, ეროვნულ მსოფლიო სიმპოზიუმზე 2024 წელს ბრიტანეთში.

ჰაზრათ მეხუთეხალიფამ (დაე, ყოვლისშემძლე ალლაჰის ძლევამოსილი დახმარება იყოს მასთან), მსოფლიო აჰმადიას მუსლიმთა თემის ხელმძღვანელმა, თქვა:

«Bismillahi Rahmani Rahim - ყოვლადმოწყალე ალლაჰის სახელით.

ძვირფასო სტუმრებო, ასალამ ალეიკუმ ვარაჰმატულაჰი ვაბარაქათუჰუ, მშვიდობა და ალლაჰის კურთხევა ყველა თქვენგანს.

დღეს ჩვენ კვლავ შევიკრიბეთ ამღონისძიებაზე, რომელიც ორგანიზებული იყოაჰმადიას მუსლიმური საზოგადოების მიერ, რათა განვიხილოთ დავიფიქროთ იმაზე, თუროგორ შეგვიძლია დავძლიოთ განხეთქილება საზოგადოებაში დადავამყაროთ ნამდვილი მშვიდობა მთელმსოფლიოში.

ოც წელზე მეტიხნის განმავლობაში, მემოვუწოდებ მთავრობებს, პოლიტიკოსებს დაყველა ადამიანს, შეასრულონ თავიანთი როლისოციალური ერთიანობის, მშვიდობისა დაჰარმონიის ხელშეწყობაში, როგორც ჩვენს ცალკეულ საზოგადოებებში, ასევე მთელმსოფლიოში. მეგამოვთქვამ ჩემსაზრს იმისშესახებ, თუროგორ შეგვიძლია დავასრულოთ ყველა სახის ომი, იქნება ესკონფლიქტები, რომლებიც არასწორად მიმდინარეობს რელიგიის სახელით, თუკონფლიქტები, რომლებიც აშკარად გეოპოლიტიკური ხასიათისაა. მევსაუბრობ არამხოლოდ ქვეყნებს შორის ომების დასრულების გადაუდებელ აუცილებლობაზე, არამედ ადგილობრივ დონეზე საზოგადოებებში უკმაყოფილების აღმოფხვრისა და მშვიდობის სურვილზე იმქვეყნებში, სადაც წარმოიქმნება სამოქალაქო ომები ანშიდა კონფლიქტები. ეჭვგარეშეა, ისტორია გვასწავლის, რომშიდა კონფლიქტები შეიძლება გადაიზარდოს რეგიონულ ომებში, რომლებიც ხშირად გამოწვეულია გარეძალების ჩარევითა დაგავლენით, რაციწვევს არასტაბილურობასა დაგანხეთქილებას სხვაქვეყნებში საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენვნახეთ ასეთი ინტერვენციის დამანგრეველი შედეგები ისეთქვეყნებში, როგორიცაა ქუვეითი, ერაყი, სირია დასუდანი. მე არაერთხელ ვაფრთხილებდი, რომწამყვანი ძალების უსამართლო პოლიტიკა დაუსამართლო პოლიტიკური, სამართლებრივი დაეკონომიკური სისტემები, რომლებიც ჭარბობს მსოფლიოს უმეტეს ნაწილში, იწვევს უთანასწორობის მზარდ ტალღას, რაცთავის მხრივ იწვევს გლობალურ არასტაბილურობასა დადაუცველობას.

წლებისგანმავლობაში, პოლიტიკოსები, ინტელექტუალები და საზოგადოების წევრებიმუდმივად ეთანხმებოდნენ ჩემს სწრაფვასმშვიდობისკენ. თუმცა, ბევრს ცრუ განგაშად მიაჩნდა ჩემი მოსაზრება არსებული კონფლიქტების გლობალურ ომში გადაზრდასთან დაკავშირებით.

ბევრმა ეს მოსაზრება ზედმეტად პესიმისტურად მიიჩნია. დიდიხნის განმავლობაში, ისინიც კი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ მსოფლიო პოლიტიკურ საქმეებში, საგარეო პოლიტიკის ჟურნალისტები ანანა-ლიტიკოსები ვერმეთანხმებოდნენ, მათი იდეალიზმისა დასამყარზე ვარდისფერი სათვალით ყურების სურვილის გამო; ან შესაძლოა ისტო-რიის გაკვეთილებიდან დასკვნების გამოტანის უუნარობის გამო. მათ აშკარად უგულებელყვეს ბოლოათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოქმნილი მზარდი ბზარები. შესაძლოა, მათუბრალოდ არსურდათ მიეღოთ არსებული რეალობა. როგორც ამბობენ, უმეცრება - ნეტარებაა.

თუმცა, დღეს, როდესაც ომები მძვინვარებს აქევროპაში, ახლოაღმოსავლეთში დასხვა ქვეყნებში, ბევრი იგივე ადამიანი უკვე სცემს განგაშის ზარს და გვაფრთხილებენ გლობალური ომის საფრთხის შესახებ ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენებით, რაცგამოიწვევს წარმოუდგენელ მსოფლიო განადგურებებს. მიუხედავად ამცნობიერებისა, ბევრს ჯერკიდევ არსურს იფიქროს იმაზე, თურა უნდაგაკეთდეს ამკონფლიქტების დასასრულებლად დამაინც არსურს მოისმინოს ჭეშმარიტი ხმები მშვიდობისთვის, რომელიც ისმის მთელმსოფლიოში.

ამ მდგომარეობის გათვალისწინებით დღევანდელ ღონისძიებაზე ფიქრისას დავინტერესდი: ჰქონდა თუ არააზრი კვლავ შეკრებას? რასარგებელს მოიტანს ჩვენი საუბარი მშვიდობასა დასამართლიანობაზე, თუისინი, ვინცძალაუფლებას ფლობენ დარაღაცის შეცვლის საშუალება აქვთ, გადაწყვეტილი აქვთარ მოგვისმინონ? მკაცრი რეალობა ისარის, რომის ინსტიტუტებიც კი, რომლებიც დაარსდა მსოფლიო მშვიდობისა დაუსაფრთხოების შენარჩუნების მთავარი მიზნით, სულუფრო არააქტუალური ხდება.

მაგალითისთვის ავიღოთ გაერო. იგიგახდა სუსტი დათითქმის უძლური ორგანო, დომინანტური ქვეყანის სრული ძალაუფლების დასხვა ქვეყნების შეხედულებების უარყოფის გამო. იმის ნაცვლად, რომთითოეული საკითხი ფაქტებზე დაყრდნობით გადაწყვიტონ, ქვეყნებმა შექმნეს ალიანსები დაკენჭს უყრიან თავიანთი პირადი ინტერესების შესაბამისად. შედეგად, ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს რამდენიმე პრივილეგირებული ქვეყანა, რომელთა ხელშია ვეტოს უფლება. მშვიდობისა დასამართლიანობის

საქმისთვის ერთგულად მსახურების ნაცვლად ისინი მათივიწრო ინტერესების გამო, იყენებენ ამვეტოს უფლებას, როგორც კოზირს, იმისმიუხედავად, რომმათი გადაწყვეტილება ძირსუთხრის სხვა ქვეყნების მშვიდობასა დაკეთილდღეობას, ანიწვევს დიდირაოდენობით უდანაშაულო ადამიანების განადგურებასა და სიკვდილს. ამიტომ, სანამ ვეტოს უფლება იარსებებს, ვერასდროს იქნება შესაძლებელი სამართლიანობის სასწორის დაბალანსება.
წლებისგანმავლობაში, პოლიტიკოსები, ინტელექტუალები და საზოგადოების წევრებიმუდმივად ეთანხმებოდნენ ჩემს სწრაფვასმშვიდობისკენ. თუმცა, ბევრს ცრუ განგაშად მიაჩნდა ჩემი მოსაზრება არსებული კონფლიქტების გლობალურ ომში გადაზრდასთან დაკავშირებით.
ბევრმა ეს მოსაზრება ზედმეტად პესიმისტურად მიიჩნია. დიდიხნის განმავლობაში, ისინიც კი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ მსოფლიო პოლიტიკურ საქმეებში, საგარეო პოლიტიკის ჟურნალისტები ანანალიტიკოსები ვერმეთანხმებოდნენ, მათი იდეალიზმისა დასამყარზე ვარდისფერი სათვალით ყურების სურვილის გამო; ან შესაძლოა ისტორიის გაკვეთილებიდან დასკვნების გამოტანის უუნარობის გამო. მათ აშკარად უგულებელყვეს ბოლოათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოქმნილი მზარდი ბზარები. შესაძლოა, მათუბრალოდ არსურდათ მიეღოთ არსებული რეალობა. როგორც ამბობენ, უმეცრება - ნეტარებაა.
თუმცა, დღეს, როდესაც ომები მძვინვარებს აქევროპაში, ახლოაღმოსავლეთში დასხვა ქვეყნებში, ბევრი იგივე ადამიანი უკვე სცემს განგაშის ზარს და გვაფრთხილებენ გლობალური ომის საფრთხის შესახებ ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენებით, რაცგამოიწვევს წარმოუდგენელ მსოფლიო განადგურებებს. მიუხედავად ამცნო-ბიერებისა, ბევრს ჯერკიდევ არსურს იფიქროს იმაზე, თურა უნდაგაკეთდეს ამკონფლიქტების დასასრულებლად დამაინც არსურს მოისმინოს ჭეშმარიტი ხმები მშვიდობისთვის, რომელიც ისმის მთელმსოფლიოში.
ამ მდგომარეობის გათვალისწინებით დღევანდელ ღონისძიებაზე ფიქრისას დავინტერესდი: ჰქონდა თუ არააზრი კვლავ შეკრებას? რასარგებელს მოიტანს ჩვენი საუბარი მშვიდობასა დასა-მართლიანობაზე, თუისინი, ვინცძალაუფლებას ფლობენ დარაღაცის შეცვლის საშუალება აქვთ, გადაწყვეტილი აქვთარ მოგვისმინონ? მკაცრი რეალობა ისარის, რომის ინსტიტუტებიც კი, რომლებიც დაარსდა მსოფლიო მშვიდობისა დაუსაფრთხოების შენარჩუნების მთავარი მიზნით, სულუფრო არააქტუალური ხდება.
მაგალითისთვის ავიღოთ გაერო. იგიგახდა სუსტი დათითქმის უძლური ორგანო, დომინანტური ქვეყანის სრული ძალაუფლების დასხვა

ქვეყნების შეხედულებების უარყოფის გამო. იმის ნაცვლად, რომთითოეული საკითხი ფაქტებზე დაყრდნობით გადაწყვიტონ, ქვეყნებმა შექმნეს ალიანსები დაკენჭს უყრიან თავიანთი პირადი ინტერესების შესაბამისად. შედეგად, ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს რამდენიმე პრივილეგირებული ქვეყანა, რომელთა ხელშია ვეტოს უფლება. მშვიდობისა დასამართლიანობის საქმისთვის ერთგულად მსახურების ნაცვლად ისინი მათივიწრო ინტერესების გამო, იყენებენ ამვეტოს უფლებას, როგორც კოზირს, იმისმიუხედავად, რომმათი გადაწყვეტილება ძირსუთხრის სხვა ქვეყ-ნების მშვიდობასა დაკეთილდღეობას, ანიწვევს დიდირაოდენობით უდანაშაულო ადამიანების განადგურებასა და სიკვდილს. ამიტომ, სანამ ვეტოს უფლება იარსებებს, ვერასდროს იქნება შესაძლებელი სამართლიანობის სასწორის დაბალანსება.

და მაინც, მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, მივხვდი, რომუნდა მესარგებლა ამ შესაძლებლობით ისლამის ასწავლებიდან გამომ-დინარე, რომელიც მუსლიმებს მოუწოდებს არასოდეს დანებდნენ მშვიდობისთვის ბრძოლაში. ისმორწმუნეს ასწავლის სიმართლის თქმას ისე, რომ ყოვლისშემძლე ალლაჰს გასცეს პასუხი და ჭეშმარიტად შეძლოს თქმა, რომ მანყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა-გადაერჩინა „მისი, ალლაჰის ყოველი ქმნილება“ განადგურებისგან.

უფრო მეტიც, ისლამის წმიდა წინასწარმეტყველმა (მშვიდობა დაკურთხევა მას) თქვა, რომჯიჰადის უდიდესი ფორმა - ტერმინი, რომელიც ხშირად არასწორად არისგაგებული დადამახინჯებული - არისგაბედული სიმართლის თქმათავის ლიდერებზე, განსაკუთრებით მათზე, ვინცარის უგულო, უსამართლო დასასტიკი. როდესაც ჩემნაირი სუსტი ქვეყნები ანპირები, რომლებსაც არაქვთ პოლიტიკური კავშირები, ცდილობენ ისაუბრონ, ამასიშვიათად აქცევენ ყურადღებას დამათ, ვინცყურადღებას აქცევს, შეიძლება შეექმნათ პრობლემები ან დაემუქროთ სანქციების დაწესების რისკი.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, აჰმადიას მუსლიმური თემი, ისლამის სწავლების თანახმად, აგრძელებს დაყოველთვის გააგრძელებს გულწრფელ ძალისხმევას მშვიდობის საქმისთვის დადაიცავს მათუფლებებს, ვინცუძლური დაუსამართლობის მსხვერპლია. ჩვენ, ღვთის შეწევნით, გამოვიყენებთ ჩვენს ხელთარსებული ყველა ხერხს, რათამოვუწოდოთ ჩვენს ხელმისაწვდომობაში არსებულ ყოველ პირს, იქნება ესპოლიტიკოსი, ინტელექტუალი თუ სხვები, დაამყარონ მშვიდობა მთელმსოფლიოში. დაზოგიერთმა თქვენგანმა შეიძლება უკვეკარგად იცოდეს ჩვენი საზოგადოების მუდმივი ძალისხმევა მშვიდობის დასამყარებლად დამძიმე ფიზიკურ ანმორალურ მდგომარეობაში მყოფთა ტანჯვის შესამსუბუქებლად.

ახლა კი, ამშესავლის შემდეგ, მინდა გამოვთქვა ჩემიაზრი იმისშესახებ, თუროგორ უნდადამყარდეს მშვიდობა მთელმსოფლიოში. რელიგიაზე საუბრისას, მთავარი რელიგიების არცერთმა ფუძემდებელმა, იქნება ესწინასწარმეტყველი იესო (მშვიდობა მას), წინასწარმეტყველი მოსე (მშვიდობა მას), წმიდა წინასწარმეტყველი მუჰამედი (მშვიდობა დაკურთხევა მასალლაჰისგან) თუღვთის სხვაწინასწარმეტყველები, არასოდეს ასწავლიდნენ თავის მიმდევრებს საზოგადოებაში მშვი-დობის უგულებელყოფას და უსამართლობის ანაგრესიისკენ მიმარ-თვას. ომისა დაჩაგვრის დასასრულებლად ისინი დასაშვებად თვლიდნენ გარკვეულ ექსტრემალურ ვითარებაში ძალის შეზღუდულად გამოყენებას.

რაც შეეხება ისლამს, მისისახელი სიტყვასიტყვით ნიშნავს მშვიდობას დამისი სწავლების ყველა ასპექტი ასახავს ამსახელის მნიშვნელობას. ამრიგად, წმინდა ყურანის 42-ესურას 41-ესტროფში, ყოვლისშემძლე ალლაჰი ბრძანებს, რომთუ ადამიანს ანქვეყანას უსამართლოდ მოექცნენ, მათ (ადამიანმა დაქვეყანამ) არასოდეს უნდაგასცეს შესაბამისი პასუხი ანიძიოს შური. უფრომეტიც, ყოვლისშემძლე ალლაჰი ამბობს, რომუმჯობესია აპატიოთ, რათაპატიებამ შეიძლება განაპირო-ბოს გამოსწორება. წმინდა ყურანის მე-10 თავის 49-ემუხლი ამბობს, რომთუ ორიქვეყანა ებრძვის ერთმანეთს, ნეიტრალურმა მხარეებმა უნდა იმოქმედონ როგორც შუამავლებმა და შეეცადონ დაამყარონ მშვიდობა სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით. დათუ შერიგების შემდეგ ერთ-ერთი მხარე დაარღვევს შეთანხმების პირობებს დაკვლავ მიმართავს ომს, სხვა ქვეყნები ძალით უნდაგაერთიანდნენ აგრესორის წინააღმდეგ, სანამ ისარ შეწყვეტს აგრესიულ ქმედებებს. დაროდესაც ისშეაჩერებს მათ, სხვა ქვეყნებმაც უნდაშეწყვიტონ ძალის გამოყენება.

მიზნად ყოველთვის უნდა რჩებოდეს სამართლიანობაზე დაფუძნებული მდგრადი სამყაროს აშენება. არ უნდა მოხდეს, რომ მესამე მხარემ ისარგებლოს მეომარი მხარეების დაუცველობით, მათი უფლებების უზურპაციით საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ. ამ პრინციპების დაცვა გაეროში და სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანოებში იქნებოდა კონფლიქტების ბევრად უფრო მშვიდობიანად და სწრაფად მოგვარების გარანტი. თუმცა, ნამდვილი მშვიდობის დამყარება შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ ქვეყნებს პირდაპირ, ან მათი ძლიერი მოკავშირეების მეშვეობით, შეუძლიათ გამოიყენონ ვეტოს უფლება. სამწუხაროდ, მისი თანდაყოლილი სამართლიანობის ნაკლებობის გამო, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც ჩანს, გაიმეორებს მისი წარუმატებელი წინამორბედის, ერთა ლიგის ბედს. და თუ საერთაშორისო სამართლის სისტემა, რაც არ უნდა სუსტი

იყოს, მთლიანად დაინგრევა, მას მოყვება ანარქია და ნგრევები.

მსოფლიოში არსებული ბევრიკონფლიქტის მიუხედავად , ყველა-ზემწვავე და საშიში კონფლიქტებიაისრაელსა და ჰამასს, ასევე რუსეთსადა უკრაინას შორის მიმდინარე ომები. ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს, რომ კონფლიქტი ისრაელსა და პალესტინას შორის რელიგიური ომია. მაშინ როცა, ფაქტობრივად, ეს არის გეოპოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტი. რაც შეეხება უკრაინის ომს, ეს აშკარად გეოპოლიტიკური ომია, რომელიც ტერიტორიული მიზეზების გამო მიმდინარეობს. მე მტკიცედ მჯერა, რომ ამ ომების დასრულების მხოლოდ ერთი გზა არსებობს – სამართლიანობის ტრიუმფის უზრუნველყოფა და ყველა მიღწეული შეთანხმების დაფუძნებათა-ნასწორობის დაარა გარეძალების ინტერესების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ვერც საერთაშორისო კანონები ვერ მოიტანენ სარგებელს და ერთადერთი წესი, რომელსაც ექნება წონა, იქნება ის, როგორც ამბოენ: «მართალიაის - ვინც ძლიერია».

თუ ვსაუბრობთ უკრაინის ომზე, რუსეთს აქვს ვეტოს უფლება გაეროს უშიშროების საბჭოში, ხოლო უკრაინას, ფაქტობრივად, ეს აქვს დასავლეთის ქვეყნებთან ალიანსის გამო, რომლებიც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან. როგორ შეიძლება მოლაპარაკების მიღწევა, თუ ორივე მხარეს შეუძლია გამოიყენოს ვეტოს უფლება? რატომ ცდილობს რომელიმე მხარე ერთი დუიმითაც კი გადაადგილებას, თუ იცის, რომ მათ შეუძლიათ ვეტო დაადონ ნებისმიერ გარიგებას, რომელიც არ შეესაბამება მათ ინტერესებს?

რაცშეეხება ღაზაში მიმდინარე მოვლენებს, ისრაელებისა დაპალესტი-ნელების მხარდამჭერთა გათვალისწინების მიუხედავად, ვეტოსუფლება მხოლოდ ისრაელის სასარგებლოდ იქნა გამოყენებული რამოდენიმე თვის წინდაწყებულ ომში. ამგვარად, თებერვალში გაეროს უშიშროების საბჭოს 15 წევრიდან 13-მა ხმა მისცა ღაზაში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, მაგრამ შეერთებულმა შტატებმა გამოიყენა ვეტოს უფლება და რეზოლუცია უარყო. როგორ შეიძლება მშვიდობის დამყარება, როცა უმრავლესობის აზრი ასე მარტივადააუარყოფილი? ეს არ არის სამართლიანობა, ეს არის დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპის უარყოფა.

ადამიანისმიერ შექმნილი კანონებისგანგანსხვავებით, ისლამის სწავლებები ხაზს უსვამს სამართლიანობას წმინდა ყურანის მე-5 სურას მე-9 ლექსის შესაბამისად, რომელიც ამბობს, რომ რომელიმე ქვეყნის ან ხალხის სიძულვილმა არასოდეს უნდა გადაგახვევინოთ სამართლიანო-ბისგზიდან. ასეთი პატიოსნების გამოვლინება უფრო ახლოსაა სიმართლესთან. არარელიგიური ადამიანებიც კი, აღიარებენ

სამართლიანობისამ გამორჩეული სტანდარტით მიღებულ სიბრძნესადა სარგებელს.
ამავდროულად, შეიძლება გაინტერესებთ: თუ ისლამის სწავლებები არის ის, რასაც მე აღვწერ, მაშინ რატომ ამბობენ ხშირად, რომ ისლამი ექსტრემისტული რელიგიაა. მართლაც, ეს დებატები ბოლო დღეებში გახდა აქტუალური ზოგიერთი პოლიტიკოსის მხურვალე და შეცდომაში შემყვანი კომენტარების გამო. ამასთან დაკავშირებით, კატეგორიულად უნდა განვმარტოთ, რომ ომები და ბრძოლები, რომლებსაც აწარმოებდნენ წმიდა წინასწარმეტყველი მუჰამედი (მშვიდობა და კურთხევა მას) და მისი მართალი მემკვიდრეები (4 მართალი ხალიფა) იყო ექსკლუზიურად თავდაცვითი. წმინდა ყურანი მუსლიმებს მხოლოდ მას შემდეგ აძლევდა საშუალებას ებრძოლათ,რაცა დაუნდობლად ესხმოდნენ თავს ისლამის მოწინააღმდეგეები და გახდნენ წლების განმავლობაში მიმდინარე დევნის მსხვერპლნი. ეს ნებართვა გათვალისწინებულია წმინდა ყურანის 22-ე სურას 40-ე სტროფში, სადაც ნათქვამია, რომ მათ, ვისაც უსამართლოდ აიძულებენ ომს, აქვთ თავდაცვის უფლება, რადგან მათ უსამართლოდ მოექცნენ და არიან ჩაგვრისა და დევნის მსხვერპლნი.
უფრომეტიც, წმინდა ყურანი განმარტავს, რომ საპასუხო დარტყმის ნებართვა გაიცა არა მხოლოდ ისლამის დასაცავად, არამედ ყველა რელიგიის დასაცავად და რწმენისა და რელიგიის თავისუფლების პრინციპების განმტკიცებისთვის. ამრიგად, მომდევნო ლექსში უზენაესი ალლაჰი ამბობს, რომ თუ ის არ შეაჩერებდა მათ, ვინც არღვევს ნებადართულ საზღვრებს სხვების მეშვეობით, მაშინ ეკლესიები, სინაგოგები, მონასტრები და ყველა სხვა სალოცავი ადგილი, სადაც ღვთის სახელს ბევრჯერ ახსენებენ, განადგურდებოდა. შესაბამისად, მუსლიმებს ევალებათ დაიცვან ყველა რელიგია და თაყვანისმცემლობის ადგილი, მათზე ზიანის მიყენებამდე.
უფრო მეტიც, როდესაც თავდაცვითი ომების პირობები იქმნებოდა, მუსლიმური ჯარები ხელმძღვანელობდნენ ისლამის წმიდა წინასწარმეტყველის მიერ დადგენილი საომარი მოქმედებების მკაცრი წესებით (მშვიდობა და კურთხევა მას). პირველი, მან თქვა, რომ ომები არასოდეს უნდა წარიმართოს პირადი ან ეგოისტური ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მიწების დასაპყრობად ან სხვებზე უპირატე-სობის დასამყარებლად. მუსლიმებს ბრძოლის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ომი მიმდინარეობს მათ წინააღმდეგ.
ომის შემთხვევაში სხვა ქვეყნები უნდა გაერთიანდნენ აგრესორის შესაჩერებლად. და როდესაც აგრესორი შეწყვეტს ძალის გამოყენებას, სხვა ქვეყნებმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ ომი და შეეცადონ

დაამყარონ ხანგრძლივი მშვიდობა. გარდა ამისა, წმიდა წინასწარმეტყველმა მუჰამედმა (მშვიდობა და კურთხევა მას) მკაცრად აკრძალა მშვიდობიანი მოსახლეობის თავდასხმა, რაც ძალიან გავრცელებულია თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ომებისას. გარდა ამისა, მან მუსლიმებს უბრძანა, შეზღუდულიყო ომის მასშტაბები. მუსლიმებს დაევალათ თავიდან აიცილებინათ ომის ესკალაცია ან გაფართოება, როგორც ტერიტორიის, ისე საშუალებების თვალსაზრისით.

ისლამი ასევე გვასწავლის, რომ თუმტერი იყენებს თაყვანისმცემლობის ადგილს სამხედრო ბაზად, დაუშვებელია ასეთი ადგილის სიწმინდის დარღვევა მის შიგნით ან თუნდაც მის მახლობლად ბრძოლით. კატეგორიულად აკრძალულია სხვისი მოწინააღმდეგეების თაყვა-ნისმცემლობის ადგილების განადგურება ან შეურაცხყოფა. გარდა ამისა, წმიდა წინასწარმეტყველმა მუჰამედმა (მშვიდობა და კურთხევა მას) აკრძალა მტრის ჯარისკაცების სხეულების დასახიჩრების ადრე გავრცელებული პრაქტიკა და დაავალა მათ მამართ ფრთხილად და პატივისცემით მოპყრობა. მან ასევე ასწავლა, რომ ომში მოტყუების ნებისმიერი ფორმა მიუღებელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალებს, ბავშვებს, მოხუცებსა და სხვა უდანაშაულო მშვიდობიან მოქალაქეებს არასოდეს უნდა დაესხნენ თავს. ანალოგიურად, აკრძალული იყო მღვდლების, რაბინების ან სხვა რელიგიური ლიდერების ზიანის მიყენება ან მათი რელიგიური მოვალეობების შესრულებაში ხელის შეშლა.

ისლამის წმიდა წინასწარმეტყველმა (მშვიდობა და კურთხევა მას) ასევე აუკრძალა მუსლიმ ჯარისკაცებს ომის დროს მოსახლეობაში ტერორის ან შიშის ნებისმიერი ფორმის დათესვა. ფაქტობრივად, ყველა არამებრძოლსა და სამოქალაქო პირს კარგად ეპყრობოდნენ და მათ მიმართ ყოველგვარი უსამართლობა იკრძალებოდა. გარდა ამისა, წმიდა წინასწარმეტყველმა (მშვიდობა და კურთხევა მას) დაავალა მუსლიმურ ჯარებს არ შეექმნათ ბაზები ან ბანაკები ქალაქებში ან ისეთ ადგილებში, სადაც მათ შეეძლოთუხერხულობაშეექმნათ ჩვეულებრივი მშვიდობიანი მოსახლეობისთვის. მისი თქმით, ბრძოლის დროს ჯარისკაცებმა არ უნდა დაარტყან მოწინააღმდეგეებს სახეში და შეეცადონ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი და ტანჯვა მიაყენონ მათ. არშეიძლებოდა სამხედრო ტყვეების განცალკევებაასევე ტვეობაში მყოფი ნათესავებისგან.

უფრო მეტიც, ყველაფერი გაკეთდა სამხედრო ტყვეების პირობების უზრუნველსაყოფად, იმდენად, რამდენადაც სამხედრო ტყვეებისსაჭიროებებიუფრო მაღლა იდგა, ვიდრე მათი, ვინც ისინიდაატყვევა. თუ მუსლიმი იყო სამხედრო ტყვეზე რაიმე სახის

სისასტიკის განხორციელებაში დამნაშავე, მას დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინა იგი, რათა გამოესყიდა თავისი ბრალეულობა.
წმიდაწინასწარმეტყველ მუჰამედის კიდევ ერთი სწავლებაა (მშვიდობა და კურთხევა მას) პატივისცე სხვა ხალხების წარმომადგენლებს ან ემისრებს და არ გაითვალისწინო მათიშეცდომები ან უზნეობა მშვიდობისა და ჰარმონიის ინტერესებიდან გამომდინარე.

ამრიგად, ეს არის ომის ძირითადი ისლამური წესები. წმიდა წინასწარმეტყველმა (მშვიდობა და კურთხევა მას) თქვა, რომ თუ მუსლიმი დაარღვევს ამ პრინციპებს, ეს ნიშნავს, რომ ის არ იბრძვის სამართლიანობისთვის; ხოლო გამოჩენილი სისასტიკე საკუთარი ეგოისტური ინტერესების განახორციელებაა. ეჭვგარეშეა, ყველა მუსულმანურმა ქვეყანამ და მთავრობამ უნდა დაიცვას ეს ისლამური სწავლებები. რელიგიას რომ თავი დავანებოთ, მე ასევე მჯერა, რომ არამუსლიმურ ქვეყნებს რომ მიეღოთ ეს პრინციპები, თუნდაც ომები მომხდარიყო, ისინი არ გამოიწვევდნენ ისეთი ღრმად ფესვგადგმული მტრობის ჩამოყალიბებას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.
ამიტომ, ომში ჩართულმა ყველა ქვეყანამ –, იქნება ეს დასავლეთის ქვეყნები, ისინი, ვინც მტრულად არიან განწყობილნი ისლამური სამყაროს მიმართ, თუ მუსლიმური ქვეყნები, –, უნდა აღიარონ, რომ მშვიდობა შეიძლება დამყარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაიცავენ ომისა და კონფლიქტების მოგვარების ამ პრინციპებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვართ კატასტროფული გლობალური მსოფლიო ომის ზღვარზე, რომელიც უდავოდ გამოიწვევს წარმოუდგენელ ნგრევას და სისხლისღვრას.
როგორც უკვე ვთქვი, ახლა ბევრი ადამიანი მიდის იმავე დასკვნამდე. მაგალითად, პროფესორი ჯეფრი საქსი, უაღრესად პატივცემული ეკონომისტი კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, წერს: «სამყარო არის ბირთვული კატასტროფის ზღვარზე, დიდწილად დასავლელი პოლიტიკური ლიდერების უუნარობის გამო იმასთან მიმართებაში, რომ ღიად ისაუბრონ გლობალური კონფლიქტების ესკალაციის მიზეზებზე.». ის აგრძელებს: « განუწყვეტელი დასავლური ნარატივი, რომ დასავლეთი სიკეთეა, ხოლო რუსეთი და ჩინეთი - ბოროტება, პრიმიტიულებიდა უკიდურესად საშიშია.
ეს არის საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების მცდელობა, რათა არ ჩაერთოს რეალურ და აქტუალურ დიპლომატიაში. პროფესორი საქსი აგრძელებს: « უპირველეს ყოვლისა, კოლოსალური საფრთხის დროს, ევროპელმა ლიდერებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ევროპის უსაფრთხოების ნამდვილ საფუძვლებზე და არა აშშ-ს ჰეგემონიაზე. ისინი უნდა ცდილობდნენ შექმნან უსაფრთხოების მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებენ ევროპის ყველა ქვეყნის უსაფრთხოების

ლეგიტიმურ ინტერესებს.
დიპლომატია და არა სამხედრო ესკალაცია მიმაჩნია ჭეშმარიტ გზად ევროპული და გლობალური უსაფრთხოების დამყარებისთვის, რაც გამოწვეულია უკრაინის ინტერესების, და ასევე რუსეთის ინტერესების ჩათვლით, რის გამოცის აგრძელებს წინააღმდეგობას შავ ზღვაზე ნატოს გაფართოების მიმართ.
გარდა ამისა, ბევრი დაიწერა დაითქვა ისრაელსა და ჰამასს შორის მიმდინარე ომზე და ღაზაში მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებაზე, რომელიც ყოველდღიურად უარესდება. ამრიგად, ბოლო ინტერვიუს დროს ამერიკელმა სენატორმა ბერნი სანდერსმა, რომელიც თავად ებრაელია, მკაცრად დაგმო ისრაელის მთავრობის ქმედებები. მან თქვა: « რასაც ნეთანიაჰუ და მისი მემარჯვენე მთავრობა აკეთებენ ახლა პალესტინის, ღაზას ხალხთან, ენით აუწერელია.
უკვე მოკლულია 25-26 ათასი ადამიანი (ეს მაჩვენებელი იყო ინტერვიუს დროს, ახლა უკვე გადააჭარბა ამ რიცხვს), რომელთა ორი მესამედი ქალები და ბავშვები არიან. დაშავდა 65 000 ადამიანი. ღაზაში საცხოვრებელი კორპუსების 70% დაზიანდა ან განადგურდა. 1,8 მილიონი ადამიანი გააძევეს სახლებიდან, რომლებიც ღმერთმა უწყის საით წავლენ». სენატორი სანდერსი აგრძელებს: «იმედი მაქვს, ყველასესმის ის, რომ არის შანსი იმისა, რომ ასობით ათასი ბავშვის შიმშილით სიკვდილის თანამონაწილეები ვართ ჩვენ, შეერთებულ შტატებში მცხოვრები ადამიანები, რომლებიც ისრაელს ვთავაზობთ ფინანსურ მხარდაჭერას. დაწყევლილი ვიქნები, თუ კიდევ ერთ ცენტს მივცემ ნეთანიაჰუს მთავრობას პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ ამ ომის გასაგრძელებლად».
კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ახლო აღმოსავლეთში მოგვარების მიღწევა და როგორ უნდა განვახორციელოთ ეს, სენატორმა სანდერსმა თქვა: « რეგიონის ისტორია საშინელია. მასში შედის ჰოლოკოსტი, რომელმაც დაიღუპა 6 მილიონი ებრაელი, ასევე ასობით ათასი პალესტინელის გამოსახლება საცხოვრებლებიდან. თუმცა, საბოლოო ჯამში, პალესტინელ ხალხს აქვს საკუთარი სამშობლოს ქონის უფლება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვსაუბრობთ გადაწყვეტილებაზე, რომელიც დაფუძნებულია ორი სახელმწიფო»-ის შექმნაზე.
ამ ორი ადამიანის გარდა, რომლებიც მე მოვიყვანე მაგალითად, ბევრი სხვაც მიდის მსოფლიოში არსებულ კრიტიკულ ვითარებასთან დაკავშირებით იმავე დასკვნამდე, რაზეც დიდი ხანია ვაფრთხილებ. ამით კმაყოფილებას არ ვგრძნობ; პირიქით, მთელი გულით ვიმედოვნებ და ვლოცულობ, რომ სანამ გვიანი არ არის, სამყარო გონს მოვიდეს და ბოლო მოეღოს მსოფლიოში მიმდინარე სისასტიკესა და ომებს. მე მტკიცედ მჯერა, რომ უნდა იყოს სრული ცეცხლის შეწყვეტა ისრაელსა და ჰამასს ან პალესტინას შორის, ისევე როგორც ომი

რუსეთსა და უკრაინას შორის.
ამისშემდეგ, საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრს ნაცვლად იმისა , რომწაახალისონ თავიანთი მოკავშირეები შემდგომი ომისკენ, მოუწევთმაღალი პრიორიტეტი მიანიჭონძალისხმევის გაძლიერებას, რათა გადაუდებელი დახმარება გაუწიონ მათ, ვისაც ეს უდაოდ სჭირდება და ფოკუსირება მოახდინოს გრძელვადიანი მშვიდობის მიღწევაზე. მაგრამ თუ ჩვენ არ ვიმოქმედებთ და დავუშვებთ ამ კონფლიქტების შემდგომ ესკალაციას, უამრავი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპება და ისტორია უდავოდ ზიზღით დაგგვმობს ჩვენ, როგორც საკუთარი განადგურებისა და ტანჯვის დამნაშავეებს.
დასასრულს, მინდა ვთქვა შემდეგი: თუ ჩვენ გვინდა გადავარჩინოთ ჩვენი მომავალი თაობები თანდაყოლილი დაავადებებისგან ბირთვული ომის შედეგად წარმოქმნილი რადიაციის გამო და გვინდა დავიცვათ ისინი გაჭირვებისა და სასოწარკვეთისაგან, თუ არ გვინდა ვიყოთ მათი წყევლისა და გოდების ობიექტი, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ სასწრაფოდ და გონიერად. პოლიტიკური ლიდერები და მისი შემქმნელებიუნდა ხელმძღვანელონბდნენ გრძელვადიანიპერსპექტივით, პრიორიტე-ტულად მიიჩნიონ მთელი კაცობრიობის ინტერესები და არა მათი ეგოისტური სურვილები სხვებზე დომინირების გზით. ჩვენ ყველანი უნდა გავერთიანდეთ და გვერდზე გადავდოთ ეროვნული, პოლიტიკური და სხვა ეგოისტური ინტერესები კაცობრიობის საერთო სიკეთისთვის, რათა დავტოვოთ აყვავებული სამყარო ჩვენი მომავალი თაობებისთვის. დღეს მნიშვნელოვანია მთელი ჩვენი ძალისხმევის ფოკუსირება ჭეშმარიტი მშვიდობის დამყარებაზე, რათა ვიცხოვროთ აყვავებულ და არაუთანასწორობით, სიძულვილით და სისხლისღვრით გაჯერებულ სამყაროში.
აქვე მინდა დავასრულო ჩემი მიმართვა და ასევე გულწრფელად მადლობა გადავუხადო ყველა ჩვენს სტუმარს, ვინც შემოგვიერთდა ამსაღამოს ჩემს მოსასმენად. ბოდიშს ვიხდი ამ გრძელი გამოსვლისთვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ მსოფლიოში არსებული არასტაბილური მდგომარეობის გათვალისწინებით ეს იყოაუცილებე-ლი. გმადლობთ და კიდევ ერთხელ გამოვხატავ ჩემს გულწრფელ მადლიერებას. დიდი მადლობა.

Contact of Ahmadiyya Muslim Association Georgia:

info@ahmadiyya.ge

www.ahmadiyya.ge

@AhmadiyyaGeorgia

@ahmadiyyageorgia

Website:

Facebook:

THE CRITICAL STATE OF THE WORLD

WHAT IS THE BLUEPRINT FOR PEACE?

ON 9TH MARCH 2024, OVER 1,200 PEOPLE GATHERED AT THE TAHIR HALL IN THE BAITUL FUTUH MOSQUE, MORDEN, INCLUDING MORE THAN 550 AMBASSADORS OF STATE, MEMBERS OF PARLIAMENT DIGNITARIES AND ACADEMICS REPRESENTING 30 COUNTRIES ATTENDED THE 18TH NATIONAL PEACE SYMPOSIUM ORGANISED BY THE AHMADIYYA MUSLIM COMMUNITY UK. THE PEACE SYMPOSIUM PROVIDES AN OPPORTUNITY FOR PEOPLE OF ALL DIFFERENT WALKS OF LIFE AND BACKGROUNDS TO COME TOGETHER AND DISCUSS THE WAYS IN WHICH PEACE CAN BE ESTABLISHED IN A WORLD RIDDLED BY WAR AND RIFE WITH CONFLICTS AND DIVISIONS. THE HIGHLIGHT FEATURE OF THE SYMPOSIUM WAS A KEYNOTE ADDRESS DELIVERED BY THE WORLDWIDE HEAD OF THE AHMADIYYA MUSLIM COMMUNITY, HIS HOLINESS, HAZRAT MIRZA MASROOR AHMAD (ABA), WHO, FOR OVER TWO DECADES, HAS BEEN URGING THE WORLD TO MEND ITS WAYS WHICH ARE LEADING IT DOWN THE PATH OF GLOBAL AND NUCLEAR WARFARE. THE GEORGIAN TRANSLATION OF THE OFFICIAL TRANSCRIPT OF HIS HOLINESS' (ABA) ADDRESS HELD IN ENGLISH IS PRESENTED IN THIS BROCHURE.

აჰმადიას მუსლიმთა ასოციაციის პუბლიკაცია